

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ვახტანგ გომელაურს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
გიორგი გახარიას

ზოგადი წინადადება

დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია, საქართველოში კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულებები ხშირად ხდება ლგბტ+ თემის წარმომადგენლების სხვადასხვა უფლების დისკრიმინაციულად შეზღუდვის საფუძველი. თემის წევრების თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არც ერთ სფეროშია სათანადოდ დაცული.

განსაკუთრებით კრიტიკულია მდგომარეობა ლგბტ+ თემის წევრების მიერ გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის შეფასებით, სამწუხაროდ, ამ მხრივ, ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა წლიდან წლამდე არ უმჯობესდება. 2018 წლის სექტემბრის თვიდან 2019 წლის ზაფხულის პერიოდის ჩათვლით განვითარებული, მათ შორის, „თბილისი პრაიდის“ გამართვასთან დაკავშირებული მოვლენები, კიდევ ერთხელ ადასტურებს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღებისა და ანალიზის ნაკლებობას და უფლებრივი მდგომარეობის ფაქტობრივი გაუმჯობესებისკენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას.

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში, სახალხო დამცველისადმი ლგბტ+ თემის რამდენიმე წევრის მიერ წარმოდგენილი განცხადებების თანახმად, ლგბტ+ საკითხებზე საჯარო ან/და დახურული ღონისძიებების გასამართად, რამდენიმე დაწესებულებამ მათ უარი უთხრა სივრცის ხელმისაწვდომობაზე. განმცხადებლების განმარტებით, დაწესებულებების მესაკუთრეები დისკრიმინაციული მოტივით, სხვადასხვა ფორმალურ არგუმენტებზე დაყრდნობით, უარს ეუბნებიან ღონისძიებების ჩატარებაზე, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, აღნიშნული პრობლემის სისტემატიურ ხასიათზე მიუთითებდეს.

წინამდებარე დოკუმენტით საქართველოს სახალხო დამცველი მიმოიხილავს ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების რეალიზების მხრივ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას იმ ფაქტების ფონზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის ივლისის ჩათვლით. კერძოდ, ყურადღება იქნება გამახვილებული 2018 წლის 9 სექტემბერს საფეხბურთო მოედანზე ლგბტ+ სიმბოლიკის შეტანის აკრძალვის საკითხზე, ასევე, 2019 წლის 18-23 ივნისს დაგეგმილი „ღირსების მარშის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენებსა და ლგბტ+ ადამიანების წინააღმდეგ ჰომოფობიურად განწყობილი ულტრა მემარჯვენე ჯგუფების გაძლიერების ტენდენციაზე. აღნიშნული დოკუმენტი არ აფასებს ინდივიდუალურ შემთხვევებს და მიმართულია არსებული კონტექსტის ანალიზისკენ.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. 2018 წლის 9 სექტემბერის ინციდენტი - ლგბტ+ სიმბოლიკა

საქართველოს სახალხო დამცველმა განიხილა ლგბტ+ პირთა განცხადება, რომელიც შეეხება სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით, პოლიციის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტს.¹ კერძოდ, 2018 წლის 9 სექტემბერს ქ. თბილისში „დინამო-არენაზე“ გაიმართა საქართველო-ლატვიის ეროვნული ნაკრებების საფეხბურთო მატჩი. სპორტულ ღონისძიებას წინ უძღვოდა თანასწორობის იდეის მხარდაჭერისათვის, უეფას მიერ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კაპიტანის - გურამ კაშიას „Equal Game“-ის პრიზით დაჯილდოება, ვინაიდან, ნიდერლანდების კლუბ „ვიტესში“ თამაშის პერიოდში, გურამ კაშიამ ლგბტ+ ადამიანების მხარდასაჭერად გაიკეთა ცისარტყელას ფერებიანი სამკლავური. საფეხბურთო მატჩზე, გურამ კაშიას მხარდასაჭერად, დამსწრეთა ნაწილი ლგბტ+ სიმბოლიკის შემცველი ნივთებით მივიდა.

მოედანზე შეკრება დააანონსეს ასევე სხვა ჯგუფებმა - „ქართველთა მარშის“² ლიდერმა სანდრო ბრეგამემ სოციალური ქსელი - „ფეისბუქის“ გვერდზე გამოაქვეყნა პოსტი: *„ჩვენი ერთადერთი პირობაა, რომ სტადიონზე არ იყოს მამათმავლობის სიმბოლიკა და ლგბტ სამკლავურები, მხოლოდ ჩვენი სახელმწიფო დროშებით და ნაკრების ატრიბუტიკით ერთად ვუგულშემატკივროთ ჩვენს ფეხბურთელებს. იმ შემთხვევაში თუ ჰომოსექსუალების-მამათმავლები-ლგბტ ორგანიზაციები და ნაკრების ვიდე კაპიტანი გურამ კაშია უგულუბელყოფენ ქართველი გულშემატკივრების თხოვნას და მაინც ააფრიალებენ სოლომის ცოდვის - მამათმავლობის სიმბოლიკას, მაშინ, იძულებული ვიქნებით მშვიდობიანად არ*

¹ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი წარმოდგენილი - ლ. ბ.-ს, ნ. ბ.-ს, გ. თ.-ს, თ. ს.-ს, ვ. კ.-ს და ნ. დ.-ს განცხადება N13414/18

² ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A8%E1%83%98>

*დაეუშვათ ლგბტ+ ბანდის აქცია, გეი ადლუმბი და მთელ ქართველ ერს მოეუწოდებთ აღდგეს სოლომონის ცოლის ზეიმის წინააღმდეგ!!*³

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ლგბტ+ ადამიანებს არ აძლევდნენ უფლებას, მატჩს დასწრებოდნენ ცისარტყელას ფერების სამკლავურებით ან/და სხვა ლგბტ+ სიმბოლიკით, როგორცაა ბანერები, დროშები და სხვა, რითაც შეეზღუდათ გამოხატვის თავისუფლება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გამო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. სამინისტროს პასუხში აღნიშნულია, რომ პოლიციელთა ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, პროკურატურამ გამოძიება არ დაიწყო და ის შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის განმარტებით, გურამ კაშიას მიერ ცისარტყელას ფერებიანი სამკლავურის ტარების გამო, საზოგადოების უარყოფითად განწყობილმა ნაწილმა მოედანზე შეკრება დააანონსა. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ჯგუფების მხარდამჭერი პირები შესაძლოა სტადიონზე მისულიყვნენ ამოსაცნობი ნიშნების გარეშე და იმის გათვალისწინებით, რომ სავარაუდო იყო, მოედანზე გურამ კაშიას მხარდასაჭერად, ასევე ლგბტ+ ადამიანები და მათი მხარდამჭერები მისულიყვნენ, ხალხის მაღალი კონცენტრაციისა და სპორტული ღონისძიებებისთვის დამახასიათებელი დამატებითი სპეციფიკის გათვალისწინებით, იქმნებოდა რეალური საშიშროება, წარმოქმნილიყო დამაბული ვითარება, რასაც შესაძლოა გამოეწვია შეკრებილი ხალხის დიდი მასის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და რთულად სამართავი პროცესები.

ამასთან, გენერალური ინსპექციის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად სპორტულ არენაზე იმყოფებოდა პოლიციელთა კონცენტრირებული რაოდენობა, შექმნილ ვითარებაში, სხვადასხვა ჯგუფების მხარდამჭერი სიმბოლიკის აქტიურ აფიშირებას, შესაძლებელია არეულობის პროვოცირება გამოეწვია, რაც სამართალდამცავების მხრიდან მათი ლეგიტიმური უფლებების აქტიური გამოყენების პირობებშიც კი წარმოქმნიდა როგორც ლგბტ+ ადამიანების, ასევე სხვა მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებების დარღვევის რისკს. შესაბამისად, ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, მოედანზე მყოფ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელების მიერ მიცემული ჰქონდათ მითითება, შეეზღუდათ მოედნის ტერიტორიაზე სხვადასხვა, მათ შორის, ლგბტ+ სიმბოლიკის მქონე ნივთების შეტანა საფეხბურთო მატჩის დასრულებამდე ჩამორთმევის გზით, ან აკრძალათ ასეთი სიმბოლიკის მქონე პირების მოხვედრა „დინამო-არენაზე“.

3

პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2018 წლის 9 სექტემბერს, მატჩის დაწყებამდე, გაავრცელა განცხადება,⁴ რომლითაც მოუწოდა თითოეულ მოქალაქეს მატჩის მსვლელობისას დაეცვათ საზოგადოებრივი წესრიგი, რათა მატჩი ჩატარებულიყო უსაფრთხო გარემოში. განცხადების თანახმად, „შინაგან საქმეთა სამინისტრო პატივს სცემს ნებისმიერი მოქალაქის გამოხატვის თავისუფლებას და იცავს მათ უსაფრთხოებას სქესის, კანის ფერის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულების თუ სხვა ნიშნის მიუხედავად“. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც გაცდებოდა გამოხატვის თავისუფლების კანონით დასაშვებ ფარგლებს და საფრთხეს შეუქმნიდა მოქალაქეთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, პოლიციის მხრიდან მოჰყვებოდა საქართველოს ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უმკაცრესი რეაგირება.

1.2. ღირსების მარში

მოდრაობა „თბილისი პრაიდის“ მიერ, 2019 წლის 18-23 ივნისს დაიგეგმა „თბილისი პრაიდის“ კვირეულის გამართვა, რომლის ფარგლებშიც მოიაზრებოდა თეატრალური წარმოდგენის, საერთაშორისო ლგბტ+ კონფერენციისა და ღირსების მარშის ჩატარება. „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებმა უსაფრთხოების საკითხზე მოლაპარაკებები შინაგან საქმეთა სამინისტროსთან რამდენიმე თვით ადრე დაიწყეს. 2019 წლის 31 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან გამართეს შეხვედრა, რომელზეც წარადგინეს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა. სამინისტროს წარმომადგენლებმა „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებს განუმარტეს, რომ პროცესში ჩართული პირების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, მათ მიერ დაგეგმილ ადგილებზე და ფორმატით ღონისძიებების ჩატარება, შეუძლებელია.⁵ ორგანიზატორთა ცნობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მათ „თბილისი პრაიდის“ ფარგლებში დაგეგმილი „ღირსების მარშის“ დახურულ სივრცეში გადატანა შესთავაზა, რაც მათთვის მიუღებელი იყო.⁶

„თბილისი პრაიდის“ ჩაშლითა და აქტივისტებს დარბევით სხვადასხვა ჯგუფი, მათ შორის, ლევან ვასაძის მხარდამჭერები⁷ და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი⁸ ემუქრებოდა.

1.3. 2019 წლის 14 ივნისის აქცია

⁴ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba-9-seqtembers-dagegmil-fekhburtis-matchtan-dakavshirebit/11969>

⁵ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/12775>

⁶ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <http://www.tabula.ge/ge/story/149701-tbilisi-pride-vecdebit-shevdzlot-shekreba-miuxedavad-imisa-rom-saxelmtsifo-uars>

⁷ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://bit.ly/35e0rO4>

⁸ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://bit.ly/2noeI9L>

შენიშვნა: „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის შესახებ“ იხილეთ აქ: <https://netgazeti.ge/life/5972/>

2019 წლის 14 ივნისს „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებმა დაგეგმეს აქცია,⁹ რასაც წინ უძღოდა საქართველოს საპატრიარქოს განცხადება,¹⁰ რომლითაც საპატრიარქოს წარმომადგენლები ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, არ დაეშვათ თბილისში „ღირსების მარშის“ ჩატარება.

მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ აქცია 19:00 საათზე უნდა დაწყებულიყო, თუმცა, „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებს აქციის ჩატარების საშუალება არ მიეცათ, ვინაიდან ადგილზე „ქართული მარშის“, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წარმომადგენლები, ბიზნესმენი ლევან ვასაძე და სასულიერო პირები მივიდნენ. ჰომოფობიურმა ჯგუფებმა კანცელარიის წინ ტერიტორია დაიკავეს და ლგბტ+ თემს აქციის ჩატარების შესაძლებლობა არ მისცეს. შედეგად, ლგბტ+ აქტივისტები იძულებულნი გახდნენ, რომ ხელისუფლებისადმი მიმართული გზავნილები მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან მისასვლელი კიბეებიდან გაეჟღერებინათ.

ადგილზე მობილიზებულმა პოლიციამ კორდონი გააკეთა. როგორც აქტივისტები აცხადებდნენ, მათ მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან არ უშვებდნენ. აქციიდან გაიყვანეს „ღირსების მარშის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი გ. თ., რომელიც მალევე დაბრუნდა ტერიტორიაზე. მისი თქმით, აგრესიული ჯგუფების გამო იგი პოლიციამ განარიდა.¹¹

ორი პარალელური აქცია კანცელარიასთან დაახლოებით შვიდ საათს გაგრძელდა, რა დროსაც, რამდენიმე ინციდენტს¹² და შეხლა-შემოხლას¹³ ჰქონდა ადგილი. ლგბტ+ თემის მოწინააღმდეგეთა წარმომადგენლები აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. ისინი, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ, როგორც ლგბტ+ აქტივისტებს, ასევე ჟურნალისტებს და მათ საქმიანობის შესრულებაში უშლიდნენ ხელს.¹⁴ ამავე აქციის მონაწილეებმა პოლიციის კორდონის გარღვევა და ლგბტ+ თემის აქციის მონაწილეებთან მისვლა რამდენჯერმე სცადეს.¹⁵ გარდა ამისა, მათი მისამართით სხვადასხვა ნივთი ისროლეს, ფიზიკურად შეეხნენ საპირისპირო აქციის რამდენიმე მონაწილეს, ასევე ჟურნალისტებს¹⁶ და მათი სამუშაო ტექნიკა დააზიანეს.¹⁷ ჰომოფობიური აქციის მონაწილემ ტელეფონი წაართვა ერთ-ერთ ჟურნალისტს და ძირს დააგდო. ჟურნალისტის თქმით, ამ პროცესს თვალს ადევნებდა პოლიცია, თუმცა რეაქცია არ ჰქონია.¹⁸ კონტრაქციის მონაწილეებმა ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ერთ-ერთ ჟურნალისტს, სამართალდამცველებმა კი ჟურნალისტს ურჩიეს ტერიტორიის

⁹ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/29999564.html>

¹⁰ <https://www.radiotavisupleba.ge/a/29999214.html>

¹¹ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://bit.ly/2IrP9Mb>

¹² ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://www.facebook.com/news.on.ge/videos/2319282941648258/>

¹³ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://www.facebook.com/watch/?v=410190593172399>

¹⁴ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <http://liberali.ge/articles/view/45680/14-ivniss-zhurnalistevis-khelis-sheshlis-faqtze-shssm-gamodzieba-daitsyo>

¹⁵ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://www.facebook.com/watch/?v=384600959067865>

¹⁶ სრულად ჟურნალისტების საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტები იხილეთ აქ: <https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/72957-qartia-moutsodebs-shss-s-uzrunvelyos-aqciaze-momushave-zhurnalistevis-usaftrtkhoeba>

¹⁷ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://bit.ly/2VnWBNH>

¹⁸ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://netgazeti.ge/news/372290/>

დატოვება.¹⁹ ამასთან, სახალხო დამცველის მოადგილეს გიორგი ბურჯანაძეს კონტრაქციის მონაწილეებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.²⁰ ისინი, აცხადებდნენ, რომ ტერიტორიას არ დატოვებდნენ, ვიდრე ლგბტ+ თემის წარმომადგენლები და აქტივისტები არ დაიშლებოდნენ.

მას შემდეგ, რაც კონტრაქციის წარმომადგენლები დარწმუნდნენ, რომ ლგბტ+ თემის აქტივისტებმა კანცელარიის ტერიტორია დატოვეს, დაშლის შესახებ გადაწყვეტილება მათაც მიიღეს. მანამდე, ისინი „ლგბტ ცხოვრების წესის პროპაგანდისთვის“ არასამთავრობო ორგანიზაცია - „პარტიზანი მეზაღეების“ ერთ-ერთ დამფუძნებელს ნატა ფერაძეს²¹ სიცოცხლის მოსპობითაც დაემუქრნენ. ის ადგილზე ლგბტ+ თემის მხარდასაჭერად იყო მისული და ინციდენტი სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც სახლში დაბრუნებას იმ გზით ცდილობდა, სადაც საწინააღმდეგო აქციის მონაწილეები იყვნენ განლაგებულები.

მიმდინარე მოვლენების პარალელურად, საქართველოს სახალხო დამცველს, ნინო ლომჯარიას ინტერნეტ სივრცეში სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ. მუქარა მოჰყვა სახალხო დამცველის განცხადებებს,²² რომლითაც ომბუდსმენი შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების დაცვის მოწოდებით გამოვიდა. 18-23 ივნისს ლგბტ+ თემის მიერ დაგეგმილ „ღირსების მარშს“ სახალხო დამცველი სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა და ქვეყანაში არსებული მაღალი ჰომოფობიური განწყობებიდან გამომდინარე, მოუწოდა სამართალდამცველებს, აქციის ორგანიზატორთათვის მიეცათ კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზების საშუალება და დაეცვათ მათი უსაფრთხოება. ამასთან, 14 ივნისს მთავრობის კანცელარიასთან ლგბტ+ თემის აქციაზე რადიკალურად განწყობილმა ჯგუფების წევრებმა სახალხო დამცველის მოადგილეების - გიორგი ბურჯანაძისა და ეკატერინე სხილაძისთვის საქმიანობის ხელშეშლა სცადეს, რაც ფიზიკური დაზიანების მუქარასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაში გამოიხატა.²³

1.4. ულტრა მემარჯვენე ჯგუფების გააქტიურება

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები ბოლო წლებში აქტიურად პოზიციონირებენ საჯაროდ. მსგავს ჯგუფებს ჰყავთ ცალკეული მხარდამჭერები, რიგ შემთხვევებში, ასეთი გაერთიანებები ორგანიზებული სახით არსებობს და, გარკვეულწილად, თანმიმდევრული მოქმედებებით ხასიათდებიან. აღსანიშნავია, რომ ულტრა მემარჯვენე იდეოლოგიის მატარებელი პირები არ შემოიფარგლებიან საკუთარი მოსაზრებების მხოლოდ სიტყვიერად ტირაჟირებით და ასევე ახორციელებენ პრაქტიკულ ქმედებებს, რომლებიც, ხშირად, კანონდარღვევაშიც გამოიხატება. აღნიშნული ჯგუფების აგრესიის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ლგბტ+ ადამიანები არიან.

ხაზგასასმელია, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფებს, როგორც საზოგადოების ნაწილის აზრის ფორმირების წყაროს, აღიარებს მედიაც, როდესაც მათ გადაცემებში, როგორც კონფლიქტის

¹⁹ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://www.facebook.com/watch/?v=2319057398132978>

²⁰ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://www.facebook.com/watch/?v=457346264830512>

²¹ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://www.facebook.com/watch/?v=384600959067865>

²² ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsveli-ghirsebis-marshtan-dakavshirebit-sakartvelos-shinagan-sakmeta-saministros-gantskhadebas-ekhmianebe>

²³ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://bit.ly/2Mtaje2>

ერთ-ერთ მხარეს იწვევს, სადაც მათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა ეძლევათ.

წინამდებარე დოკუმენტში სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს ულტრამემარჯვენე ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის - ბიზნესმენი ლევან ვასაძის მიერ ამავე პერიოდში გაკეთებულ საჯარო განცხადებებზე,²⁴ რომელიც, სახალხო დამცველის შეფასებით, საზოგადოების ნაწილზე გავლენით სარგებლობს.

1.4.1. 2019 წლის 14 ივნისს, მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ კონტრაქციის გამართვისას, ლევან ვასაძემ განაცხადა, რომ ის და მისი მხარდამჭერები ლგბტ+ თემის წევრებს აქციის ჩატარების უფლებას არსად მისცემენ, მათ შორის არც დახურულ სივრცეში. ვასაძის თქმით, თუ პოლიცია ლგბტ+ თემს აქციის ჩატარებას არ აუკრძალავდა და ამის საპირწონედ მათ გაუწევდა წინააღმდეგობას, სამართალდამცველები სიმეტრიულ პასუხს მიიღებდნენ.²⁵

„გინდა კინოთეატრში იკრიბებოდნენ, გინდა მუზეუმში, გინდა თეატრში, გინდა აუზზე, არსად ჩვენ ამის უფლებას არ მივცემთ.“ - განაცხადა ლევან ვასაძემ.

1.4.2. ლევან ვასაძემ 2019 წლის 15 ივნისს გამოქვეყნა ვიდეო სახელწოდებით „ქუდზე კაცი“, რომლითაც ის „მხოლოდ კაცებს“ მოუწოდებდა 16 ივნისს, 20:00 საათზე ვერის ბაღში შეკრებისაკენ, რათა, ემსჯელათ იმ გზებზე, თუ როგორ შეწინააღმდეგებოდნენ „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ჩატარებას.²⁶

²⁴საქართველოს სახალხო დამცველს (N10642/19) განცხადებით ასევე მომართა მოქალაქე თ. ჯ.-მ, რომელიც ლევან ვასაძის მხრიდან გაკეთებული განცხადებების თაობაზე საქართველოს გენერალურ პროკურატურას გამოძიების დაწყებას სთხოვდა.

²⁵ „ქართულ სახელმწიფოებრიობას უქმნიან პირდაპირ საფრთხეს. ჩვენ მათ არ მივცემთ ამის საშუალებას. მე დავდებ ინტერნეტში ვიდეომიმართვას, სადაც დავასახელებ [აქციის] ადგილსა და დროს. ეს [კონტრაქცია] ექსპრომტი იყო და ბევრი ხალხი ვერ მოვიდა. დავაანონსებ თბილისში, საჯარო ადგილს და დროს, სადაც ჩვენ შევიკრიბებით. იმ შეკრებაზე მე მოვალ და დავასახელებ სამოქმედო გეგმას, თუ როგორ ვაპირებთ სამოქალაქო საზოგადოება მშვიდობიანად, თუ ისინი ამას ინებებენ, რა თქმა უნდა, ალჟუდგეთ წინ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ პროვოკაციას ყველგან: გინდა კინოთეატრში იკრიბებოდნენ, გინდა მუზეუმში, გინდა თეატრში, გინდა აუზზე, არსად ჩვენ ამის უფლებას არ მივცემთ. ჩვენ ამას გავაკეთებთ მშვიდობიანად, თუ, რა თქმა უნდა, ისინი არ შეგვეწინააღმდეგებიან, იმიტომ, რომ როდესაც სახელმწიფო სტრუქტურები უარს ამბობენ წესრიგის დაცვაზე, მაშინ ისინი აღარ არიან სამართალდამცველები. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი ბიჭები, ჩვენი ოფიცრები ამას არ დაუშვებენ. თუ ისინი ხალხის ნებას შეეწინააღმდეგებიან და თუ ნაცვლად იმისა, რომ მათ აუკრძალონ ეს აქცია, ჩვენ გაგვიჩვენებ წინააღმდეგობას, მაშინ ისინი მიიღებენ სიმეტრიულ პასუხს. ისტორიის იმ მომენტებში როცა სახელმწიფო და მისი სტრუქტურები ამბობენ უარს წესრიგის დაცვაზე, მაშინ ხალხი არა თუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია საკუთარ ხელში აიღოს წესრიგის დაცვა. ამ წესრიგის დაცვის ფორმატს გავაჟღერებთ და მერე რაც მოხდება, მოხდეს“, – განაცხადა ვასაძემ.

ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://netgazeti.ge/news/372339/>

²⁶ „არაფერი შეგეშალოთ. ჩვენ არ მოგცემთ კორდონების ჩაყენების უფლებას. სადაც არ უნდა იყოს, კინოთეატრში, სკვერში, თუ ტყეში ყველგან მივაკითხავთ, ყველა კორდონს გავარღვევთ და წაგლეკავთ. როგორ ვიზამთ ამას? ხვალ შევთანხმდებით. როდესაც სახელმწიფო უარს ამბობს თავისი ფუნქციების შესრულებაზე, ხალხი, რომელსაც არ უნდა, რომ იყოს მონა, იღებს თავის ხელში წესრიგს.“ „გემახით, ხალხო მოდი და დავგიდექით. ვერავის

ლევან ვასაძემ გააკეთა განცხადება: **„არაფერი შეგეშალოთ. ჩვენ არ მოგცემთ კორდონების ჩაყენების უფლებას. სადაც არ უნდა იყოს, კინოთეატრში, სკვერში, თუ ტყეში ყველგან მივაკითხავთ, ყველა კორდონს გავარღვევთ და წაგლეკავთ.“**

1.4.3. 2019 წლის 16 ივნისს თბილისში გამართულ აქციაზე, ლევან ვასაძემ განაცხადა, რომ თბილისი პრაიდისა და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ ქმნის „თვითორგანიზებულ ჯგუფებს“ — „სახალხო რაზმებს“, რომლებიც, მისი თქმით, ერთი კვირის განმავლობაში **„პატრულირებენ“** თბილისში.²⁷

1.4.4. მას შემდეგ, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებს „ღირსების მარშის“ ფარგლებში მსვლელობის დროს, ლგბტ+ პირთა და მათი მხარდამჭერების დაცვაზე უარი განუცხადა, ლევან ვასაძემ სახალხო რაზმები გააუქმა.

„პატრულირებას ვაუქმებთ, მაგრამ მზად ვართ, ერთი ტელეფონის ღილაკის დაჭერით გავჩნდეთ, თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაპირებს არ შეასრულებს და გარყვნილების ზეიმის მცდელობა იქნება“.

2019 წლის 17 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახალხო რაზმების შექმნის შესახებ ლევან ვასაძის განცხადებაზე გამოძიება დაიწყო.²⁸

1.4.5. ლევან ვასაძემ არამხოლოდ ლგბტ+ პირებსა და მათ მხარდამჭერებს, არამედ პოლიციასაც მიმართა. მისი თქმით, კორდონის გარღვევის სტრატეგიაზე მუშაობენ და, თუ პოლიცია მათ წინააღმდეგობას გაუწევს, „კომბლებით იქნებიან შეიარაღებულნი“.

„ქაშარში ჩავიდებთ თითო კომბალს და თუ შეგვდგებიან, დავუბრუნებთ კომბალს“. ლევან ვასაძემ ასევე განაცხადა, რომ ქვეყანაში **„უწესობას“** არ დაუშვებს. მისი თქმით, **ლეგიონი პატრულირებისას ქაშარით შეუკრავს ხელებს ლგბტ+ თემის წევრებს. კორდონის გარღვევისას თბილისი პრაიდის წევრები არ უნდა ცემონ და მხოლოდ ყური უნდა აუწიონ.**²⁹

ავუკრძალავთ მოსვლას, მაგრამ იქ კაცების გასაკეთებელი საქმეა. ამიტომ, ქალბატონებს და ბავშვებს ვთხოვ, დარჩეთ სახლში. მე ვეძახი მამაკაცებს, ქართველებს, აზერბაიჯანელებს, ოსებს, აფხაზებს, რუსებს, უკრაინელებს, ბერძნებს, ქურთებს, იეზიდებს - ყველას, ვინც ჩვენს სამშობლოში ერთად ცხოვრობს. მძებო და დებო, ეს ჩვენი სამშობლოა. ის დაფუძნებულია ჩვენი და თქვენი კულტურების პატივისცემაზე. მაგ საფუძვლის მორღვევას ცდილობენ. ნუ დავუშვებთ ამას“, - ამბობს ლევან ვასაძე ვიდეო-მიმართვაში. ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/30000900.html>

²⁷ „სტრუქტურა იქნება მარტივი, იერარქიული და აწყობილი. გვეყოლება ათეულები ათისთავებით, რაც შეიკვრება ასეულად და ეყოლება ასისთავი, რაც შეკრებს ათასეულს და იქნება ლეგიონი“. ვასაძის თქმით, ეს ადამიანები „ერთი კვირა გაინაწილებენ ქალაქს, იქნება პატრულირება“. ვასაძემ თქვა, რომ ისინი არ იქნებიან შეიარაღებულები; თუმცა დასძინა, რომ ისინი გაარღვევენ „ნებისმიერ კორდონს, რასაც პოლიცია დააყენებს“. ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე <https://netgazeti.ge/news/372545/>

²⁸ ლევან ვასაძე: "პატრულირებას ვაუქმებთ, მაგრამ მზად ვართ, ერთი ტელეფონის ღილაკის დაჭერით გავჩნდეთ, თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაპირებს არ შეასრულებს და გარყვნილების ზეიმის მცდელობა იქნება". ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://bit.ly/31TEW31>

²⁹ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://bit.ly/2o9s36p>

ბიზნესმენ ლევან ვასაძის თანამოაზრეებს, რომლებიც „თბილისი პრაიდის“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ, „ქართული მარშის“ წევრებიც შეუერთდნენ. „ქართული მარშის“ ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ განაცხადა, რომ „...არც ერთ ქართველს არ აქვს უფლება ამ დროს განზე გადგეს. „გეიალუმში“ არ ჩატარდება და თუ როგორ არ ჩატარდება, ამას სიურპრიზად დავტოვებთ, თუმცა, დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ არ ჩატარდება. ჩვენ ვართ ყველანი ერთიანი. მეც, მარშიც, ლევან ვასაძეც, გურამ ფალავანდიშვილიც.“³⁰

2. სამართლებრივი შეფასება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის კანონის მიზანს განსაზღვრავს, რაც მდგომარეობს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრასა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფაში რასის, კანის ფერი, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, აღნიშნოს, რომ საკმაოდ მაღალი საზოგადოებრივი გავლენების მქონე კერძო პირების მხრიდან ლგბტ+ ადამიანთა გამოხატვის თავისუფლებისთვის ხელის შეშლის ტენდენცია, ბოლო წლების განმავლობაში, ძლიერდება. აღნიშნული პირები თავისი მოქმედებებითა და განცხადებებით ხელს უწყობენ ჰომოფობიური განწყობების გავრცელებას და დისკრიმინაციის წახალისებას. თავის მხრივ, ხელისუფლება არ ატარებს საჭირო პრევენციულ ღონისძიებებს და არც კონკრეტულ შემთხვევებზე რეაგირებს ეფექტურად, რაც ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობას კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის.

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველი და ინდივიდის თვითრეალიზაციის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.³¹ გამოხატვის თავისუფლება დაცულია

³⁰ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://imedineews.ge/ge/saqartvelo/109200/qartuli-marshi-tbilisi-praidis-organizatorebs-siurprizs-dahpirda>

³¹ ECtHR, Lingens v. Austria, no.9815/82, 8/07/1986, §41

როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე აღიარებულია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტით.³²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველია, რადგან მის გარეშე შეუძლებელია ადამიანის თვითრეალიზაცია - გამოხატვის თავისუფლება თითოეული ადამიანის განვითარების და მთლიანად საზოგადოების პროგრესის აუცილებელი საფუძველია, სწორედ ის ქმნის საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების გაზიარების პერსპექტივას“.³³ „ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობის და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის, სხვა კონსტიტუციური უფლებებისა და პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით“.³⁴

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები მოცემულია თავად საქართველოს კონსტიტუციაში, რომლის თანახმად, აღნიშნული უფლება შესაძლოა შეიზღუდოს „კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.³⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „არსებობს კონსენსუსი დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობასთან მიმართებით, თუმცა ამ უფლების გამოვლინება ხშირად კონფლიქტში მოდის სხვათა უფლებებთან, ან საზოგადოების ინტერესებთან, ისეთებთან, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგი, უსაფრთხოება და ა. შ.“. „...ასეთი კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო უფლებამოსილი და ვალდებულიცაა, რომ ჩაერიოს, თუმცა ასეთი ჩარევა უნდა იყოს გონივრული და მიზნის პროპორციული“.³⁶

საქართველო კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მე-8 მუხლი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს ითვალისწინებს, კერძოდ, ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი,

³²ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებულია: 1948 წლის 10 დეკემბერი, საქართველოსთვის ძალაშია: საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით, მუხლი 19; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მიღებულია: 1966წ, ძალაშია: 1976 წლის 23 მარტი, საქართველოსთვის ძალაშია: 1994 წლის 3 აგვისტოდან, მუხლი 19; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მიღებულია: 1950 წლის 4 ნოემბერი, ძალაშია: 1953 წლის 3 სექტემბერი, საქართველოსთვის ძალაშია: 1999 წლის 20 მაისი, მუხლი 10.

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/6/561,568 2016 წლის 30 სექტემბერი, II §39

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/482,483,487,502; 2011 წლის 18 აპრილი, §25

³⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, მე-5 პუნქტი

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/482,483,487,502; 2011 წლის 18 აპრილი, §26

ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს. ამავე მუხლის მეორე პუნქტი განმარტავს, რომ დაცული უფლებების შემზღუდველი კანონი უნდა იყოს: პირდაპირ მიმართული ლეგიტიმური მიზნების განხორციელებისაკენ, კრიტიკულად აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის და არადისკრიმინაციული.

მართალია, სახალხო დამცველი დეტალურად არ აფასებს ინდივიდუალურ შემთხვევებს, თუმცა, თვალსაჩინოა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებები ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების უფლების დაცვის კუთხით, ბუნდოვანია და არ ადასტურებს უფლებათა დაცვის სისტემურ ხედვის არსებობას და ფაქტების პოტენციური შედეგების ანალიზს. ამასთან, წინამდებარე დოკუმენტი ასევე არ აფასებს ჰომოფობიურად განწყობილი პირების/ჯგუფების გამოხატვის თავისუფლებას და ორიენტირებულია ლგბტ+ პირთა გამოხატვის თავისუფლების რეალიზებასთან დაკავშირებით, უკანასკნელ პერიოდში არსებული კონტექსტის ანალიზისკენ.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 წლის 9 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხოვის დროს უწყების მხრიდან არ ხდებოდა დროული და სრულყოფილი ინფორმაციის მოწოდება, რაც თავის მხრივ, კიდევ ერთ სისტემურ ბარიერს წარმოადგენს ლგბტ+ ადამიანების უფლებათა დაცვის მხრივ. სახალხო დამცველის შეფასებით, 2018 წლის 9 სექტემბერს გურამ კაშიას მატჩთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ დგინდება, საფეხბურთო მატჩის წინარე პერიოდში კონკრეტულად რა სახის პრევენციული ღონისძიებები და სამუშაოები იქნა გატარებული ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ წინასწარ იყო ცნობილი კონკრეტული ჯგუფების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ლგბტ+ სიმბოლიკით საფეხბურთო მატჩზე დასწრებას. კერძოდ, მოხდა თუ არა ოპერატიულად შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ლგბტ+ ადამიანთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართული განცხადებების გამავრცელებელ პირებთან/ჯგუფებთან კომუნიკაცია; ამასთან, თუკი შინაგან საქმეთა სამინისტრო ხედავდა საფეხბურთო სტადიონზე ძალადობრივი ქმედებების საშიშროებას კონკრეტული პირების/ჯგუფების მიერ გავრცელებული განცხადებების საფუძველზე, რა ღონისძიებები იქნა გატარებული; სახალხო დამცველი ასევე ყურადღებას ამახვილებს, რომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, არ იკვეთება ლგბტ+ სათემო ორგანიზაციებთან/ჯგუფებთან კომუნიკაციის/თანამშრომლობის და მათი გამოხატვის უფლების დაცვის მიზნით გარკვეული ღონისძიებების წინასწარ დაგეგმვის მცდელობა.

ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის დროს არ ხდება ზეპირად მიღებული გადაწყვეტილების წერილობითი ფორმით დასაბუთება, რაც აუცილებელი ინსტრუმენტია გატარებული ღონისძიებების კანონიერების შეფასებისთვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2018 წლის 9 სექტემბერს, მატჩის დაწყებამდე, გაავრცელა ინფორმაცია,³⁷ რომლითაც მოუწოდა თითოეულ მოქალაქეს მატჩის მსვლელობისას დაეცვათ საზოგადოებრივი წესრიგი, რათა მატჩი ჩატარებულიყო უსაფრთხო გარემოში. განცხადების თანახმად, „შინაგან საქმეთა სამინისტრო პატივს სცემს ნებისმიერი მოქალაქის გამოხატვის თავისუფლებას და იცავს მათ უსაფრთხოებას სქესის, კანის ფერის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულების თუ სხვა ნიშნის მიუხედავად“. სამინისტრომ განმარტა, რომ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც გასცდებოდა გამოხატვის თავისუფლების კანონით დასაშვებ ფარგლებს და საფრთხეს შეუქმნიდა მოქალაქეთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, პოლიციის მხრიდან მოჰყვებოდა საქართველოს ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უმკაცრესი რეაგირება.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო კონკრეტული ჯგუფების მხრიდან მომდინარე საფრთხეს, რომელიც მიმართული იყო ლგბტ+ ადამიანების და მათი მხარდამჭერების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისაკენ იმავე სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს, რომელშიც საკუთარი უფლებების დაცვისა და თანასწორობის იდეის მხარდამჭერი ადამიანების გამოხატვის თავისუფლებას განიხილავს. სახალხო დამცველის შეფასებით, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში თითოეული ადამიანის გამოხატვის თავისუფლება, მნიშვნელოვანია ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან შემწყნარებლური, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება.

ღირსების მარშთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს მშვიდობიანი დემონსტრანტების მიერ ამ უფლების სრულფასოვანი რეალიზება და შესაბამისი რესურსის მობილიზებით, მოახდინოს კერძო პირებისგან მათი სათანადო დაცვა. იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის კანონმდებლობით განსაზღვრული კონკრეტული საფუძველი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ევალება დაასაბუთოს, რომ შეზღუდვა ემსახურება კონსტიტუციით დაცული სიკეთეების მიღწევას, მისი გამოყენება აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის, არის **არადისკრიმინაციული და პროპორციულად შეზღუდველი** და წარმოადგენს იმგვარ საშუალებას, რომლის გამოყენებით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ „ღირსების მარშის“ ჩატარებასთან დაკავშირებით გავრცელებული ზოგადი განცხადება კი ვერ იქნება მიჩნეული ასეთ დასაბუთებულ გადაწყვეტილებად.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ლგბტ+ თემს და მათ მხარდამჭერებს, მრავალი წელია, არ ეძლევათ თავისუფალ გარემოში შეკრების შესაძლებლობა, რაც მჭიდრო კავშირშია საზოგადოებაში არსებულ მწვავე ჰომოფობიურ ფონთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ მაქსიმალურად შეუწყოს

³⁷ ხელმისაწვდომია ვებ. გვერდზე: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba-9-seqtembers-dagegmil-fekhburtis-matchtan-dakavshirebit/11969>

ხელი საზოგადოებაში ამგვარი განწყობის შემცირებას.³⁸ ასევე, სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ „ღირსების მარშის“ ორგანიზატორებისთვის გაკეთებული შეთავაზება დახურულ სივრცეში შეკრების თაობაზე, იმ მიზეზით, რომ სამინისტრო ვერ უზრუნველყოფდა მათ დაცვას ღია სივრცეში, შინაარსს აცლიდა ლგბტ+ ადამიანების მიზანს, საჯაროდ შეკრებილიყვნენ უსაფრთხოდ. ლგბტ+ ადამიანების შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევას საქართველოში მრავალი წლის ისტორია აქვს და აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინება, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან, მნიშვნელოვანი იყო.

ლგბტ+ თემისა და მათი მხარდამჭერების მიერ შეკრების თავისუფლების სრულფასოვანი რეალიზების მიზნით, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარების ვალდებულებაზე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც საქართველოს წინააღმდეგ 2015 წელს გადაწყვეტილებაში *იდენტობას* საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ლგბტ+ ადამიანების მიმართ ქართული საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებს, 2012 წლის 17 მაისს ორგანიზებული მშვიდობიანი მარშის გამართვამდე, „ჰქონდათ ვალდებულება, გამოეყენებინათ ყველა შესაძლო საშუალება, მაგალითად, დემონსტრაციამდე საჯარო განცხადებების მეშვეობით, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, მოეხდინათ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება, ისევე როგორც, გაეფრთხილებინათ პოტენციური სამართალდამრღვევები შესაძლო სანქციების ხასიათზე.“ გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილებით იკვეთება, რომ როდესაც შეკრების მიმდინარეობისას ქუჩის შეტაკებების მაღალი მოლოდინი არსებობს, სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან წინდახედული ნაბიჯია სამართალდამცავთა მაღალი რაოდენობის პირადი შემადგენლობის, მათ შორის, პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის მობილიზება.³⁹

2019 წლის 25 სექტემბერს საქმეზე - *იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, - ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა საქმის გაძლიერებული ზედამხედველობის პროცესის ფარგლებში დასკვნა გამოაქვეყნა. აღნიშნულ დოკუმენტი შეეხება იმ ძირითად ხარვეზებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში სახელმწიფოს მხრიდან ვლინდება. კომიტეტი ცალკე ამახვილებს ყურადღებას „ღირსების მარშის“ ჩატარების მცდელობისას მომხდარ ინციდენტებზე, რომლებიც 2019 წლის ივნისში გამოვლინდა. კერძოდ, საქმე ეხება შეკრების მონაწილეების, სახალხო დამცველისა და მისი მოადგილის მიმართ მუქარას და სამართალდამცავი უწყების მიერ გატარებულ არაეფექტიან ზომებს ძალადობრივი ჰომოფობიური ჯგუფებისგან შეკრების მონაწილეთა დაცვის უზრუნველსაყოფად. კომიტეტი ხაზს უსვამს პლურალიზმის, ტოლერანტობის მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში

³⁸ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://drive.google.com/file/d/1gcWDvql0j-PTKW5FWBczRKSldQrKkoO9/view> გვ. 171

³⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 99 ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3032951?publication=0>

და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, იყოს აღნიშნულ პრინციპთა უპირველესი გარანტი. შესაბამისად, ის სახელმწიფოს მოუწოდებს, გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება ლგბტ+ ადამიანების შეკრების თავისუფლებისა და ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფისთვის.⁴⁰

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ თანასწორობის უფლების დაცვა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. სახალხო დამცველის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში, დისკრიმინაციას იწვევს დაუცველი ჯგუფების შესახებ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და არასწორი აღქმები, თუმცა მათ დასაძლევად, სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ღონისძიებები ნაკლებად ტარდება. საზოგადოებაში კვლავ ძლიერია ჰომოფობიური და ტრანსფობიური ჯგუფების გავლენა, რის გამოც ლგბტ+ ადამიანები კვლავ განიცდიან ჩაგვრას, დისკრიმინაციას და ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულებები ხშირად ხდება ლგბტ+ თემის წარმომადგენლების მიმართ დისკრიმინაციის საფუძველი. სამწუხაროდ, ამ მხრივ სახელმწიფოს ქმედითი ნაბიჯები ამ დრომდე არ გადაუდგამს, რაც მძიმედ აისახება ლგბტ+ პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე. სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები ლგბტ+ ადამიანების დაცვის კუთხით არასაკმარისია და ვერ პასუხობს რეალურ გამოწვევებს. სამწუხაროდ, სახელმწიფოს ამ დრომდე არ გააჩნია ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების სისტემური ხედვა.⁴¹

„ღირსების მარშის“ ჩატარებამდე, მნიშვნელოვანი იყო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარებინა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მოქალაქეების მიერ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სრულფასოვანი რეალიზება. ხოლო, კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველით, უფლების შეზღუდვის შემთხვევაში, გადაწყვეტილება სათანადოდ დასაბუთებული უნდა ყოფილიყო.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა, ძალისხმევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვისკენ მიმართოს. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრეცედენტულ საქმეში რომელიც ეხებოდა მოსკოვში 2006-2008 წლებში პრაიდის გამართვაზე სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ გაცხადებულ უარს და რომლის მთავარ მიზეზად სახელმწიფო პრაიდის მონაწილეების უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ასახელებდა, სასამართლომ დარღვევა დაადგინა, შეკრებაზე უარი დისკრიმინაციულად ცნო და ის შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების უფლების დარღვევად მიიჩნია. სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნული მთავრობის მიერ ლგბტ+ ადამიანების საჯარო შეკრებების აკრძალვა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და არ პასუხობდა სოციალურ საჭიროებებს. როგორც სასამართლომ მიუთითა, „დემონსტრაციისას ოპოზიციურ ჯგუფებს შორის დაძაბულობისა და სიძულვილის წარმოშობის ყოველი შესაძლებლობა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს რომ

⁴⁰

ხელმისაწვდომია

ვებ

გვერდზე:

https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=090000168097afe0&fbclid=IwAR0h-Hbc51p0KinFdXABr2aKbMB5P_tyl3mzcXmx2Z29xC8n95z1CkratPQ

⁴¹ სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 14, 151, 160, 180.

ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019033019563052300.pdf>

წარმოადგენდეს, საზოგადოება მოკლებული იქნებოდა განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობას, რომელიც შესაძლოა არ იყოს თანხვედრაში უმრავლესობის აზრთან.⁴²

ულტრა მემარჯვენე ჯგუფების გაძლიერებასთან მიმართებით, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ლევან ვასაძისა და მასთან დაკავშირებული ჯგუფების საქმიანობას, მათ გეგმებსა და ქმედებებს შესაბამისი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან შესაბამისი სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტისგან გამოითხოვა ინფორმაცია ლევან ვასაძის მიერ მიმდინარე წლის ივნისის თვეში საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებში სავარაუდო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების იდენტიფიცირებისა და გამოძიების პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დაწყებულია გამოძიება მოქალაქე ლ. ვ.-ს მიერ უკანონო ფორმირების შექმნისა და ხელმძღვანელობის ფაქტზე.

მედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო ფორმირების შექმნის, ხელმძღვანელობის და მასში გაწევრიანების ფაქტებზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გამოძიება დაიწყო,⁴³ თუმცა, გამოძიების ეფექტიანობის შესახებ, საზოგადოებას ამ დრომდე არ აქვს ინფორმაცია.

ასევე, სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებაზე, დაიცვას ჟურნალისტების უსაფრთხოება და უზრუნველყოს, რომ მედიის წარმომადგენლებმა პროფესიული მოვალეობა დაუბრკოლებლად შეასრულონ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებს დროული და ადეკვატური სამართლებრივი რეაგირება მოჰყვეს.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ზემოთ აღნიშნული მოვლენების განვითარების პროცესში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა ნეიტრალური პოზიცია, რაც უარყოფითად აისახა ლგბტ+ ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე და ხელი შეუწყო თემის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებების გაძლიერებას,

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია ყურადღება დაეთმოს ანტიდემოკრატიული პოლიტიკური მოძრაობების გაძლიერების მიზეზებს და ჰომოფობიის პოლიტიკურ და სოციალური ეფექტს. თანასწორობის პრინციპის გამყარებისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, ამ ფენომენის კულტურულ დონეზე აღქმის ცვლილება და საზოგადოების სწორი ინფორმირება დემოკრატიული და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ღირებულებების შესახებ. ულტრა მემარჯვენე ჯგუფების გააქტიურება და მათ ქმედებებზე არასათანადო სამართლებრივი რეაგირება კი უკან დახეული ნაბიჯია ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ, რადგან ხელს უწყობს საზოგადოებაში ადამიანის უფლებებთან წინააღმდეგობაში მყოფი ღირებულებების გავრცელებას. აღნიშნული აზრს უკარგავს თანასწორობის ფორმალურ - საკანონმდებლო

⁴² ECHR, ALEKSEYEV v. RUSSIA; no. 4916/07, 25924/08 and 14599/09, 11/04/2011, §77, §87

⁴³ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://imedinevs.ge/ge/dzalovnebi/108905/shssm-lgbtq-praidis-tsinaagmdeg-legionisshqmnis-shesakheb-levan-vasadzis-gantskhadebis-shemdeg-gamodzieba-daitsko>

დონეზე გარანტირებას და სახელმწიფოს თუ სამოქალაქო საზოგადოების მიერ გაწეულ პრაქტიკულ მცდელობებს.

აქედან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი ზოგადი წინადადებებით:

- მომავალში გააკეთოს არაორაზროვანი და მკაფიო განცხადებები ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიზნით და ხელი შეუწყოს შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირებას;
- გაატაროს ქმედითი პრევენციული და პროაქტიული ზომები ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიზნით.
- ეფექტიანად იქნას გამოძიებული 2018 წლის 14 ივნისის მთავრობის კანცელარიასთან მომხდარი ინციდენტები, ასევე ლევან ვასაძის განცხადებების კანონშესაბამისობა და საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად.

პატივისცემით,